



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 344

ქალაქი ქუთაისი 18 იანვარი 2017 წელი

„სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“
სესხის აღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის,
შოთა მურდულიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №334 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. „სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“ სესხის აღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, შოთა მურდულიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №334 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების პრეამბულაში ფრაზა: „265 795 /ორასსამოცდახუთათას შვიდასოთხმოდათხუთმეტი/ ევროს.“ შეიცვალოს ფრაზით: „877 124 (რვაასსამოცდაჩვიდმეტიათას ასოცდაოთხი) ლარს.“

2. განკარგულების პირველი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შემენილი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და ნარჩენების კონტეინერების საფასურის გადახდის მიზნით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სახელით აიღოს კრედიტი (877 124 ლარი), 10 წლის ვადით, ასევე, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.